



უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

„დაუ აგროსაიენსის ა.ს.“ (DOW AGROSCIENCES A.S.)

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შედგენილია ევროკომისიის (EU) No. 2015/830 რეგულაციის შესაბამისად

პროდუქტის დასახელება: GF-999 მანკოცები 80 მასის% მნ სფ ფუნგიციდი
GF-999 Mancozeb 80 wt% ai WP Fungicide

განახლების თარიღი: 09.09.2019

ვერსია: 1.0

ბოლო გამოცემის თარიღი: -

დაბეჭდვის თარიღი: 09.09.2019

„დაუ აგროსაიენსის ლიმიტედ“ მოგიწოდებთ და იმედოვნებს, რომ თქვენ სრულად წაიკითხავთ და გაიგებთ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელს, რადგან მთელი დოკუმენტი შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას. ეს უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი მომხმარებლებს აწვდის სამუშაო ადგილზე ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაციას და ეხმარება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაში. პროდუქტის მომხმარებლები და განმცხადებლები პირველ რიგში უნდა გაეცნონ პროდუქტის ეტიკეტს, რომელიც მიმაგრებულია ან თან ერთვის პროდუქტის ტარას.

პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი

პროდუქტის დასახელება: GF-999 მანკოცები 80 მასის% მნ სფ ფუნგიციდი

1.2 ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდებული შეზღუდვები იდენტიფიცირებული გამოყენება: მცენარეთა დაცვის პროდუქტი

1.3 უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მომწოდებლის მონაცემები კომპანიის იდენტიფიკაცია

DOW AGROSCIENCES LIMITED	„დაუ აგროსაიენსის ლიმიტედ“
CPC2 CAPITAL PARK	CPC2 კეპიტალ პარკ
FULBOURN	ფულბორნი
CAMBRIDGE	კემბრიჯი
Englan	ინგლისი
CB21 5XE	CB21 5XE
UNITED KINGDOM	გაერთიანებული სამეფო

საინფორმაციო სამსახურის ნომერი:

SDSQuestion@dow.com

1.4 გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი

24-საათიანი გადაუდებელი დახმარების ნომერი: 0031 115 694 982

ადგილობრივი გადაუდებელი დახმარების ნომერი: 00 31 115 69 4982

პარაგრაფი 2: საფრთხეების იდენტიფიკაცია

2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად:

კანის სენსიბილიზაცია - კატეგორია 1 - H317

რეპროდუქციული ტოქსიკურობა - კატეგორია 2 - H361d

წყლისათვის მოკლევადიანი (მწვავე) საშიშროება - კატეგორია 1 - H400

ამ პარაგრაფში მითითებული H-ფრაზების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

2.2 ეტიკეტის ელემენტები:

ეტიკეტირება (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად:

საშიშროების პიქტოგრამები



სასიგნალო სიტყვა: საშიშროება

საშიშროების შესახებ განცხადებები

H317 შეუძლია გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია.
H361d საეჭვოა დაზიანდეს მუცლადმყოფი ბავშვი.
H410 ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.

გამაფრთხილებელი განცხადებები

P280 გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანი/დამცავი სპეცტანსაცმელი.
P273 პროდუქტი არ უნდა მოხვდეს ბუნებრივ გარემოში.
P302 + P352 კანზე მოხვედრისას: ჩამოიბანეთ დიდი რაოდენობის წყლით.
P308 + P313 ზემოქმედების ან შეხების შემთხვევაში: მიიღეთ სამედიცინო რჩევა/ დახმარება.
P501 შიგთავსის/ტარის უტილიზაცია განახორციელეთ მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაცია

EUH401 ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქციები.

შეივას მანკოცები (ISO)

2.3. სხვა რისკები

მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

პარაგრაფი 3: შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

3.2 ნარევი

ეს პროდუქტი არის ნარევი.

CASRN / EC-No. / ინდექსის-No.	REACH რეგისტრაციის ნომერი	კონცენტრაცია	კომპონენტი	კლასიფიკაცია: რეგულაცია (EC) No 1272/2008
CASRN 8018-01-7 EC-No. 616-995-5 ინდექსის-No. 006-076-00-1	-	80.0%	მანკოცები (ISO);	კანის სენს. - 1 - H317 რეპრ. - 2 - H361d წყლისათვის მწვავე - 1 - H400

CASRN 100-97-0 EC-No. 202-905-8 ინდექსის-No. 612-101-00-2	-	>= 3.0 - < 10.0 %	მეთენამინი	აალ. მყ. - 2 - H228 კანის სენს. - 1 - H317
--	---	-------------------	------------	---

ამ პარაგრაფში მითითებული H-ფრაზების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

პარაგრაფი 4: პირველადი დახმარების ზომები

4.1 პირველადი დახმარების ზომების აღწერა

ზოგადი რჩევები: პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენმა პირებმა, ყურადღება უნდა მიაქციონ პირად უსაფრთხოებას და გამოიყენონ რეკომენდებული დამცავი სპეცტანსაცმელი (ქიმიური დამცავი ხელთათმანი, შხვევებისგან დამცავი საშუალებები). ზემოქმედების ან პოტენციური ზემოქმედების შემთხვევაში: იხილეთ მე-8 პარაგრაფში მითითებული ინდივიდუალური დაცვის სპეციფიკური საშუალებები.

ჩასუნთქვისას: გაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე. თუ არ სუნთქავს გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება, შემდეგ ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა. პირით პირში სუნთქვისათვის გამოიყენეთ მასველის დამცავი საშუალება (ჯიბის ნილაბი და ა.შ.). მკურნალობის შესახებ რჩევების მისაღებად მიმართეთ ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრს ან ექიმს.

კანზე მოხვედრისას: კანთან შეხებისას: გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი. დაბინძურებული კანი დაუყონებლივ ჩამოიბანეთ დიდი რაოდენობის წყლით 15–20 წუთის განმავლობაში. მკურნალობის შესახებ რჩევების მისაღებად მიმართეთ ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრს ან ექიმს. გარეცხეთ ტანსაცმელი ხელმეორედ გამოყენებამდე. ფეხსაცმელი და ტყავის სხვა საგნები, რომელთა დეკონტამინაცია შეუძლებელია, სათანადო წესების დაცვით უნდა იქნეს განადგურებული.

თვალებში მოხვედრისას: გახელილ მდგომარეობაში თვალები ნელა და ფრთხილად გამოირეცხეთ სუფთა წყლით 15-20 წუთის განმავლობაში. თუ ატარებთ კონტაქტურ ლინზებს, მოიხსენით პირველი 5 წუთის შემდეგ და გააგრძელეთ თვალების გამორეცხვა. მკურნალობის შესახებ რჩევების მისაღებად მიმართეთ ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრს ან ექიმს. სამუშაო ზონაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ექსტრემალურ სიტუაციაში თვალების ამოსარეცხი სათანადო საშუალებები.

გადაყლაპვის შემთხვევაში: გადაუდებელი სამედიცინო მკურნალობა არ არის საჭირო.

4.2 ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე შეყონებული სიმპტომები და ეფექტები: პირველადი სამედიცინო დახმარების ღონისძიებების (ზემოთ) და სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და აუცილებელი სპეციალური მკურნალობის შესახებ მითითებების (ქვემოთ) გარდა, ნებისმიერი დამატებითი მნიშვნელოვანი სიმპტომი და ეფექტი აღწერილია მე-11 პარაგრაფში: ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია.

4.3 ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და განსაკუთრებული მკურნალობის საჭიროების ჩვენება

მითითება ექიმს: შეიძლება გამოიწვიოს ასთმის მსგავსი (რეაქტიული სასუნთქი გზები) სიმპტომები. ბრონქოდილატატორებმა, ამოსახველებელმა საშუალებებმა, ტკივილგამაყუჩებლებმა და კორტიკოსტეროიდებმა შეიძლება ხელი შეუწყოს განკურნებას. სპეციფიკური ანტიდოტი არ არსებობს. ზემოქმედების შედეგების მკურნალობა მიმართული უნდა იყოს სიმპტომების კონტროლსა და პაციენტის კლინიკურ მდგომარეობაზე. ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრში ან ექიმთან დარეკვისას, ან სამკურნალოდ წასვლისას, თან იქონიეთ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი, და თუ ხელმისაწვდომია, პროდუქტის ტარა ან ეტიკეტი. განმეორებითმა გადაჭარბებულმა ზემოქმედებამ შეიძლება გართულოს უკვე არსებული ფილტვის დაავადება.

პარაგრაფი 5: ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

5.1 ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები: გაფრქვეული წყლის ნაკადი. სპირტების მიმართ მედეგი ქაფები.

ხანძრის ჩაქრობის შესაბამის საშუალებები: არ არის ცნობილი.

5.2 ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

საშიში წვის პროდუქტები: ხანძრის დროს კვამლი საწყის ნაერთებთან ერთად შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა შემადგენლობის წვის პროდუქტებს, რომლებიც შეიძლება იყოს ტოქსიკური და / ან გამაღიზიანებელი მოქმედების. წვის პროდუქტები სხვა დანარჩენ ნივთიერებებთან ერთად შეიძლება შეიცავდეს: გოგირდის ოქსიდებს, გოგირდწყალბადს, ნახშირორჟანგს. გაცხელებისას ან ხანძრის პირობებში გამოიყოფა ტოქსიკური გაზი.

აალებისა და და აფეთქების იშვიათი საშიშროება: წვის პროდუქტების ზემოქმედება შეიძლება იყოს ჯანმრთელობისათვის საშიში. არ დაუშვათ ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების ნარჩენების/ჩამონადენის სადრენაჟე სისტემებში ან წყლსატევებში მოხვედრა.

5.3 რეკომენდაციები მეხანძრეებისათვის

ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები: ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყალი შეაგროვეთ ცალკე. არ ჩაღვართ კანალიზაციაში. ხანძრის ნარჩენებისა და ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყლის გაუვნებლობა/უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

გაიტანეთ დაუზიანებელი კონტეინერები ხანძრის ზონიდან, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოდ არის შესაძლებელი. მოახდინეთ ტერიტორიის ევაკუაცია. გამოიყენეთ ადგილობრივი ვითარებისა და გარემომცველი ცეცხლის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები. გამოიყენეთ წყლის ჭავლი გაუხსნელი კონტეინერების გასაგრილებლად. ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყალი შეაგროვეთ ცალკე. არ ჩაღვართ კანალიზაციაში. ხანძრის ნარჩენებისა და ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყლის უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

სპეციალური დამცავი აღჭურვილობა მეხანძრეებისთვის: ხანძრის დროს გაიკეთეთ რესპირატორი. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

პარაგრაფი 6: ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

6.1 პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები: თავიდან აიცილეთ მტვრის წარმოქმნა. არ შეისუნთქოთ მტვერი. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. გამოიყენეთ სათანადო დამცავი აღჭურვილობა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-8 პარაგრაფი, ექსპოზიციის კონტროლი და პირადი უსაფრთხოება.

6.2 გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები: თუ პროდუქტმა დაბინძურა მდინარეები და ტბები ან სადრენაჟე სისტემები აცნობეთ შესაბამის ორგანოებს. პრეპარატი არ უნდა მოხდეს გარემოში. თავიდან აიცილეთ შემდგომი დაღვრა ან დაფრქვევა, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოა. შეაკავეთ და განათავსეთ დაბინძურებული ნარევი წყალი. თუ მნიშვნელოვანი დაღვრის/დაფრქვევის შეჩერება ვერ ხერხდება, შეატყობინეთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. არ დაუშვათ ნიადაგში, თხრილებში, საკანალიზაციო სისტემებში, წყალსატევებში ან / და გრუნტის წყლებში შეღწევა. იხილეთ მე-12 პარაგრაფი, ეკოლოგიური ინფორმაცია.

6.3 გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები: ამ პრეპარატის გადაყრასა და გაუვნებლობაზე, ასევე იმ მასალებსა და ნივთებზე, რომლებიც გამოიყენება მტვრის წარმოქმნის გარეშე დასუფთავებისა და უტილიზაციის მოგვარების პროცესში, შეიძლება გავრცელდეს ადგილობრივი ან ეროვნული რეგულაციები. აღდგენილი მასალა უნდა ინახებოდეს სპეციალური ხერხის მქონე კონტეინერში. სპეციალური ხერხი დაცული უნდა იყოს წყლის შეღწევისგან, ვინაიდან შეიძლება ადგილი ქონდეს დაღვრილ მასალებთან ურთიერთქმედებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონტეინერში წნევის გაზრდა. შეინახეთ შესაფერის, დახურულ კონტეინერში უტილიზაციისათვის. დაღვრილი/დაფრქვეული პროდუქტი აწმინდეთ ან მოაგროვეთ მტვერსასრუტით, მოათავსეთ შესაფერის ჭურჭელში შემდგომი უტილიზაციისათვის. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-13 პარაგრაფი, ნარჩენების უტილიზაცია/განთავსება.

6.4 მითითება სხვა პარაგრაფებზე: იხილეთ პარაგრაფები: 7, 8, 11, 12 და 13.

პარაგრაფი 7: გამოყენება და შენახვა

7.1 სიფრთხილის ზომები გამოყენების დროს: პირები, რომლებსაც აქვთ კანის სენსიბილიზაციის ან ასთმის, ალერგიის, ქრონიკული ან მორეციდივე რესპირატორული დაავადების პრობლემა, არ უნდა იყვნენ დასაქმებული იმ პროცესებში, სადაც გამოიყენება ეს პრეპარატი/ნარევი. თავიდან აიცილეთ ჩასუნთქვადი ნაწილაკების წარმოქმნას. არ შეისუნთქოთ ორთქლი/მტვერი. არ მოწიოთ თამბაქო. გამოიყენეთ კარგი საწარმოო ჰიგიენისა და უსაფრთხოების პრაქტიკის შესაბამისად. მოერიდეთ ექსპოზიციას - გამოყენებამდე მიიღეთ სპეციალური ინსტრუქციები. გამოყენების დროს აკრძალულია თამბაქოს მოწევა, საკვების მიღება და დაღევა. მოარიდეთ კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრას. არ შეისუნთქოთ ორთქლი ან შხვევები. არ ჩააყლაპოთ. თავიდან აიცილეთ კანზე და თვალებში მოხვედრა. დაიცავით თვალები. მიიღეთ პრევენციული ზომები პროდუქტის დაღვრის, ნარჩენების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად და მინიმუმამდე დაიყვანეთ მისი გარემოში მოხვედრა. გამოიყენეთ შესაბამისი დამცავი აღჭურვილობა. დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ მე-8 პარაგრაფი, ექსპოზიციის კონტროლი და პირადი უსაფრთხოება.

7.2 უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით: შეინახეთ თავდახურულ ტარაში. გახსნილი ტარა მჭიდროდ უნდა დაიხუროს და მოთავსდეს ვერტიკალურ მდგომარეობაში, გამოყოფის თავიდან ასაცილებლად. შეინახეთ სათანადოდ მარკირებულ ტარაში. შეინახეთ კონკრეტული ეროვნული რეგულაციის შესაბამისად.

7.3 სპეციფიკური საბოლოო გამოყენება: იხილეთ პროდუქტის ეტიკეტი.

პარაგრაფი 8: ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

8.1 კონტროლის პარამეტრები

არსებობს შემთხვევაში, ექსპოზიციის ზღვრები ჩამოთვლილია ქვემოთ. თუ ექსპოზიციის ზღვრები არ არის მითითებული, ამ შემთხვევაში მონაცემები არ გამოიყენება.

კომპონენტი	რეგულაცია	ჩამონათვალის ტიპი	მნიშვნელობა/მითითება
მანკოცები (ISO)	US WEEL	TWA საერთო	0.1 მგ/მ ³
	US WEEL	TWA	კანის სენსიბილიზატორი
მეთენამინი	Dow IHG	TWA	10 მგ/მ ³

აღნიშნულ პარაგრაფში მითითებული რეკომენდაციები განკუთვნილია წარმოებისთვის, კომერციულ შეზავებასა და შეფუთვაზე მომუშავეებისათვის. განმცხადებლები და მომხმარებლები სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებსა და სპეცტანსაცმლის შესახებ ინფორმაციას უნდა გაეცნონ პროდუქტის ეტიკეტზე.

8.2 ექსპოზიციის (ზემოქმედების) კონტროლი

შესაბამისი საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები: გამოიყენეთ ტექნიკური კონტროლის საშუალებები, ჰაერში მავნე ნივთიერების კონცენტრაციის ექსპოზიციის ზღვრის მოთხოვნებისა და ნორმების ქვემოთ შესანარჩუნებლად. თუ ექსპოზიციის ზღვარის მიმართ არ არსებობს შესაბამისი მოთხოვნები ან ნორმები, გამოიყენეთ მხოლოდ სათანადო განიავება. ზოგიერთი ოპერაციის დროს შეიძლება საჭირო გახდეს ადგილობრივი გამწოვი ვენტილაციის გამოყენება.

ინდივიდუალური დაცვის ზომები:

თვალის/სახის დაცვა: გამოიყენეთ ქიმიური დამცავი სათვალე. დამცავი სათვალე უნდა შეესაბამებოდეს EN 166 სტანდარტს ან ეკვივალენტურს.

კანის დაცვა:

ხელის დაცვა: გამოიყენეთ ქიმიური ნივთიერებებისაგან დამცავი ხელთათმანი, რომლებიც კლასიფიცირებულია EN 374 სტანდარტით:

ქიმიური ნივთიერებებისა და მიკროორგანიზმებისაგან დამცავი ხელთათმანი. დამცავი ხელთათმნის უპირატესად გამოყენებული მასალებია: პოლივინილქლორიდი ("PVC" ან "ვინილი"). ნეოპრენი. ნიტრილის/ბუტადიენური კაუჩუკი/რეზინი ("ნიტრილი" ან "NBR"). როდესაც ხანგრძლივ ან ხშირად განმეორებად კონტაქტს შეიძლება ჰქონდეს ადგილი, მყარ მასალასთან კონტაქტის თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია დამცავი ხელთათმნის გამოყენება. მხოლოდ ხელთათმნის სისქე არ განსაზღვრავს ქიმიური ნივთიერებისგან ხელთათმნის სათანადო დაცვის დონის უზრუნველყოფას, ვინაიდან დაცვის ეს დონე ასევე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ მასალის სპეციფიკურ შემადგენლობაზე,

რომლისგანაც ხელთათმანი არის დამზადებული. ხელთათმნის სისქე, მოდელისა და მასალის ტიპის მიხედვით, როგორც წესი უნდა იყოს 0.35 მმ-ზე მეტი, რათა ნივთიერებასთან ხანგრძლივი და ხშირი კონტაქტის დროს უზრუნველყოს საფუძვლიანი დაცვა. როგორც ამ ზოგადი წესისგან გამონაკლისი, ცნობილია, რომ მრავალმრიან ლამინირებულ ხელთათმანს შეუძლია უზრუნველყოს ხანგრძლივი დაცვა 0.35 მმ-ზე ნაკლები სისქის დროს. 0.35 მმ-ზე ნაკლები სისქის ხელთათმნის სხვა მასალებს შეუძლიათ სათანადო დაცვის უზრუნველყოფა, როდესაც მხოლოდ ხანმოკლე კონტაქტი არის მოსალოდნელი.

შენიშვნა: კონკრეტული მიზნით გამოყენების და სამუშაო ადგილზე გამოყენების ხანგრძლივობის მიხედვით სათანადო ხელთათმნის შერჩევას, ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული შესაბამის სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა: სხვა ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული, ფიზიკური მოთხოვნები (გაჭრისგან/გახვერტისგან დაცვა, მოხერხებულობა, თერმული დაცვა), ხელთათმნის მასალების მიმართ სხეულის შესაძლო რეაქციები, ასევე ხელთათმნების მომწოდებლის მიერ მოწოდებული ინსტრუქციები / სპეციფიკაციები და სხვა.

დაცვის სხვა ზომები: გამოიყენეთ ამ პრეპარატის მიმართ ქიმიურად მედეგი სპეცტანსაცემელი. კონკრეტული ნივთის შერჩევა, როგორცაა სახის ფარი, ჩექმები, წინსაფარი ან კომბინიზონი, დამოკიდებული იქნება შესასრულებელ სამუშაოზე.

რესპირატორული დაცვა: რესპირატორული დაცვის საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც არსებობს ზემოქმედების/ექსპოზიციის ზღვრების მიმართ მოთხოვნების ან მითითებების პოტენციური გადაჭარბების შესაძლებლობა. თუ ზემოქმედების დონის მიმართ არ არსებობს შესაბამისი მოთხოვნები ან მითითებები გამოიყენეთ აპრობირებული რესპირატორი. ჰაერის გაწმენდის ან დადებითი წნევით ჰაერის მოწოდების არჩევა დამოკიდებული იქნება კონკრეტულ ოპერაციაზე და ჰაერში ნივთიერების შესაძლო კონცენტრაციაზე. საგანგებო სიტუაციებში გამოიყენეთ აპრობირებული დადებითი წნევის ავტონომიური სუნთქვის აპარატი.

გამოიყენეთ CE აპრობირებული ჰაერის გამწმენდი რესპირატორი: ორგანული ნივთიერებების ორთქლის კარტრიჯი ნაწილაკების ფილტრით, ტიპის AP2.

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

გამოყენებისა და ნარჩენების გატანისას გარემოზე გადაჭარბებული ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად იხილეთ მე-7 პარაგრაფი : გამოყენება და შენახვა და მე-13 პარაგრაფი: განკარგვა/უტილიზაცია.

პარაგრაფი 9: ფიზიკური და ქიმიური თვისებები

9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე:

ფიზიკური მდგომარეობა	ფხვნილი
ფერი	ყვითელი
სუნი	გოგორდის მსგავსი
სუნის შეგრძნების ზღვარი	ტესტის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი
pH	6.77 CIPAC MT 75.31 % ხსნარში
ღლობის ტემპერატურა/დიაპაზონი	არ გამოიყენება (იშლება გაღლობამდე)
გაყინვის ტემპერატურა	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი
დუდილის ტემპერატურა (760 მმ Hg)	არ გამოიყენება
აალების ტემპერატურა	დახურული ტიგელი არ გამოიყენება
აორთქლების სიჩქარე (ბუტილ აცეტატი=1)	არ გამოიყენება
აალებალობა (მყარი, გაზი)	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი
აფეთქების ქვედა ზღვარი	არ გამოიყენება
აფეთქების ზედა ზღვარი	არ გამოიყენება
ორთქლის წნევა	არ გამოიყენება
ორთქლის ფარდობითი სიმკვრივე (ჰაერი = 1)	არ გამოიყენება
ფარდობითი სიმკვრივე (წყალი = 1)	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი
წყალში ხსნადობა	დისპერგირებადი
განაწილების კოეფიციენტი	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
ნ-ოქტანოლი / წყალი	
თვითაალების ტემპერატურა	არ გამოიყენება
დაშლის ტემპერატურა	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი
კინემატიკური სიბლანტე	არ გამოიყენება
ფეთქებადი თვისებები	არა

დამყანგავი თვისებები

არ არის მნიშვნელოვანი ზრდა (>5 C) ტემპერატურაზე

9.2 დამატებითი ინფორმაცია
მოლეკულური მასა

მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

შენიშვნა: ზემოთ წარმოდგენილი ფიზიკური მონაცემები ტიპური მნიშვნელობებია და არ უნდა იქნეს წარმოჩენილი, როგორც ტექნიკური მახასიათებლები.

პარაგრაფი 10: სტაბილურობა და რეაქტიულობა

10.1 რეაქტიულობა: არ კლასიფიცირდება, როგორც რეაქტიული საშიშროების მქონე.

10.2 ქიმიური მდგრადობა: ინსტრუქციების შესაბამისად შენახვისა და გამოიყენების დროს დაშლა არ ხდება. მდგრადია ნორმალურ პირობებში.

10.3 სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა: არ არის ცნობილი. საშიშროებაზე განსაკუთრებული მითითებები არ არის.

10.4 ასარიდებელი გარემოებები: არ არის ცნობილი.

10.5 შეუთავსებელი მასალები: მოარიდეთ კონტაქტს: მყავებთან. დამყანგავებთან.

10.6 საშიში დაშლის პროდუქტები: დაშლის პროდუქტები დამოკიდებულია ტემპერატურაზე, ჰაერის მიწოდებასა და სხვა მასალების არსებობაზე. დაშლის პროდუქტები შეიძლება შეიცავდეს არა მარტო: გოგოირდის ოქსიდებს, გოგირდწყალბადს, ნახშირჟანგს. ნახშირორჟანგს. დაშლის დროს გამოიყოფა ტოქსიკური აირები.

პარაგრაფი 11: ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

ამ პარაგრაფში ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია წარმოდგენილია, როდესაც ასეთი მონაცემები არის ხელმისაწვდომი.

11.1 ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ

მწვავე ტოქსიკურობა

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა:

გადაყლაპვისას იწვევს უმნიშვნელო ტოქსიკურობას. მცირე რაოდენობის შემთხვევით ჩაყლაპვის დროს საზიანო შედეგები არ არის მოსალოდნელი.

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისთვის:

LD₅₀, ვირთაგვა, > 5000 მგ/კგ

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა

კანთან ხანგრძლივი კონტაქტი სავარაუდოდ არ გამოიწვევს საზიანო რაოდენობის შეწოვას.

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის:

LD₅₀, კურდღელი, > 5000 მგ/კგ

მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა

მტვრის გახანგრძლივებულმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები. მტვერმა შეიძლება გამოიწვიოს ზედა სასუნთქი გზების გაღიზიანება (ცხვირი და ყელი).

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის:
LD50, ვირთაგვა, 4 საათი, მტვერი, > 5.14 მგ/ლ

კანის კოროზია/ გაღიზიანება

ხანმოკლე კონტაქტმა შეიძლება გამოიწვიოს კანის მცირე გაღიზიანება ადგილობრივი სიწითლით.

თვალის სერიოზული დაზიანება / თვალის გაღიზიანება

შეიძლება გამოიწვიოს თვალის ზომიერი გაღიზიანება.

სენსიბილიზაცია

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის:
ტესტირების დროს ზღვის გოჭებში გამოიწვია კანის ალერგიული რეაქციები.

რესპირატორული სენსიბილიზაციისთვის:
შესაბამისი მონაცემები არ არის მოძიებული.

სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს სისტემური ტოქსიკურობა (ერთჯერადი ექსპოზიცია)

არსებული მონაცემების შეფასებით, ეს ნივთიერება არ წარმოადგენს STOT-SE ტოქსინს.

სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს სისტემური ტოქსიკურობა (განმეორებითი ექსპოზიცია)

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის:
ექსპერიმენტულ ცხოველებზე დაფიქსირდა შემდეგ ორგანოებზე ზემოქმედება:
ფარისებრი ჯირკვალი.
ღვიძლი.

კანცეროგენული მოქმედება

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის: მაღალმა დოზებმა ლაბორატორიულ ვირთაგვებში გამოიწვია კიბო.

ტერატოგენური მოქმედება

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის: ლაბორატორიულ ცხოველებში გამოიწვია თანდაყოლილი დეფექტები, მხოლოდ დედის ტოქსიკურობის გამომწვევი დოზების დროს. ტოქსიკური იყო ექსპერიმენტული ცხოველების ნაყოფის მიმართ, დედის ტოქსიკურობის გამომწვევი დოზების დროს.

რეპროდუქციული ტოქსიკურობა

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის: ლაბორატორიული ცხოველებზე ჩატარებულ კვლევებში არ გამოუწვევია რეპროდუქციული ფუნქციის დაზიანება. ცხოველებზე ჩატარებულ კვლევებში არ გამოუწვევია ნაყოფიერების დაზიანება.

მუტაგენურობა

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის: *in vitro* (ცოცხალ ორგანიზმში) გენეტიკური ტოქსიკურობის კვლევები ძირითადად უარყოფითი იყო. ცხოველებზე გენეტიკური ტოქსიკურობის კვლევები უარყოფითი იყო.

ასპირაციის საშიშროება

ფიზიკურ თვისებებზე დაყრდნობით, სავარაუდოდ არ წარმოქმნის ასპირაციის საშიშროებას.

პარაგრაფი 12: ეკოლოგიური ინფორმაცია

ეკოლოგიური ინფორმაცია ამ ნაწილში წარმოდგენილია, როდესაც ასეთი მონაცემები ხელმისაწვდომია.

12.1 ტოქსიკურობა

მანკოცები (ISO)

თევზების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა

პრეპარატი ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის ($LC_{50} / EC_{50} / IC_{50} < 1$ მგ /ლ ყველაზე მგრძნობიარე სახეობებში).

LC₅₀, *Oncorhynchus mykiss* (ცისარტყელა კალმახი), 96 საათი, 0.088 მგ/ლ

წყლის უხერხემლოების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა

EC₅₀, *Daphnia magna* (წყლის რწყილი), 48 საათი, 0.073 მგ/ლ

წყალმცენარეების/წყლის მცენარეების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა

EbC₅₀, *Scenedesmus capricornutum* (მტკნარი წყლის წყალმცენარეები), 120 საათი, 0.044 მგ/ლ

მიწისზედა ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა

ნივთიერება პრაქტიკულად არ არის ტოქსიკური ფრინველებისთვის მწვავე საფუძველზე (LD₅₀ > 2000 მგ/კგ).
ნივთიერება პრაქტიკულად არ არის ტოქსიკური ფრინველებისთვის საკვებთან ერთად შეყვანისას (LC₅₀ > 5000 მმწ).
პერორალური LD₅₀, ვირგინიული გნოლი (*Bobwhite quail*), > 3200 მგ/კგ სხეულის წონაზე.
პერორალური LD₅₀, *Apis mellifera* (ფუტკრები), 48 საათი, სიკვდილიანობა, > 100 მკგ/ფუტკარზე
კონტაქტური LD₅₀, *Apis mellifera* (ფუტკრები), 48 საათი, სიკვდილიანობა, > 100 მკგ/ფუტკარზე

ნიადაგის ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა

LC₅₀, *Eisenia fetida* (ჭიაყელები), 14 დღე, > 299 მგ/კგ

მეთენამინი

თევზების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა

ნივთიერება არ კლასიფიცირდება როგორც წყლის ორგანიზმების მიმართ საშიში (ყველაზე მგრძნობიარე სახეობებში LC₅₀ / EC₅₀ / IC₅₀ / LL₅₀ / EL₅₀ > 100 მგ/ლ).

LC₅₀, *Pimephales promelas* (კობრისებრთა ოჯახი), გამდინარე ნაკადის ტესტი, 96 საათი, 49,800მგ/ლ
ტესტი OECD-ის 203 სახელმძღვანელო პრინციპებით

წყლის უხერხემლოების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა

EC₅₀, *Daphnia magna* (წყლის რწყილი), სტატისტიკური ტესტი, 48 საათი, 36,000მგ/ლ
ტესტი OECD-ის 202 სახელმძღვანელო პრინციპებით

წყალმცენარეების/წყლის მცენარეების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა

EbC₅₀, *Selenastrum capricornutum* (მწვანე წყალმცენარეები), 14 დღე, 3,000 მგ/ლ
NOEC, *Selenastrum capricornutum* (მწვანე წყალმცენარეები), 14 დღე, 1,500 მგ/ლ

ბაქტერიების მიმართ ტოქსიკურობა

NOEC, 2 საათი, > 100 მგ/ლ

12.2 მდგრადობა და დეგრადაციის უნარი

მანკოცები (ISO)

ნიადაგის გარემოში დეგრადაცია მოსალოდნელია რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში. OECD ტესტის მკაცრი მითითებების საფუძველზე, ეს ნივთიერება არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც სრულად ბიოდეგრადირებადი. ამასთან, ეს შედეგები ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ნივთიერება არ განიცდის ბიოდეგრადაციას გარემოში.

სტაბილურობა წყალში (ნახევრად დაშლის პერიოდი)

ჰიდროლიზი, ნახევრად დაშლის პერიოდი, 17 საათი, pH 7, ნახევრად დაშლის პერიოდის ტემპერატურა არის 25 °C

ფოტოდეგრადაცია

ტესტის ტიპი: ნახევრად დაშლის პერიოდი (არაპირდაპირი ფოტოლიზი)

სენსიბილიზატორი: OH რადიკალები

ატმოსფეროში ნახევრად დაშლის პერიოდი: 0.05 დღე

მეთოდი: მიახლოებითი/გაანგარიშებული.

მეთენამინი

ბიოდეგრადაციის უნარი: ნივთიერება ადვილად განიცდის ბიოდეგრადაციას. გადის სრული ბიოდეგრადაციის OECD/EEC ტესტ(ებ)ს.

10-დღიანი ინტერვალი: არ გამოიყენება
ბიოდეგრადაცია: 54 - 97 %
ექსპოზიციის დრო: 28 დღე
მეთოდი: ტესტი OECD-ის 301C სახელმძღვანელო პრინციპებით ან შესატყვისით

12.3 ბიოაკუმულაციის პოტენციალი

მანკოცები (ISO)

ბიოაკუმულაცია: ბიოკონცენტრაციის პოტენციალი არის დაბალი ($BCF < 100$ ან $\log Pow < 3$).
განაწილების კოეფიციენტი: ნ-ოქტანოლი/წყალი ($\log Pow$): 1.33 გაანგარიშებული.
ბიოკონცენტრაციის ფაქტორი (BCF): -4.15 გაანგარიშებული.

მეთენამინი

ბიოაკუმულაცია: ბიოაკუმულაციის პოტენციალი არის დაბალი ($BCF < 100$ ან $\log Pow < 3$).
განაწილების კოეფიციენტი: ნ-ოქტანოლი/წყალი ($\log Pow$): -4.15 გაანგარიშებული.

12.4 მიგრაცია /მობილურობა ნიადაგში

მანკოცები (ISO)

ნიადაგში მობილობის პოტენციალი არის დაბალი (Koc 500-2000).
განაწილების კოეფიციენტი: (Koc): 1000 გაანგარიშებული.

მეთენამინი

ნიადაგში მობილობის პოტენციალი არის დაბალი (Koc 0-50).
განაწილების კოეფიციენტი: (Koc): <1 გაანგარიშებული.

12.5 PBT და vPvB შეფასების შედეგები

მანკოცები (ISO)

ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT). ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

მეთენამინი

ეს ნივთიერება მდგრადობის, ბიოაკუმულაციისა და ტოქსიკურობის (PBT) მიმართ არ არის შეფასებული.

12.6 სხვა მანე ეფექტები

მანკოცები (ISO)

ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლის იმ ნივთიერებათა სიაში, რომლებიც შლის ოზონის შრეს.

მეთენამინი

ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლის იმ ნივთიერებათა სიაში, რომლებიც შლის ოზონის შრეს.

პარაგრაფი 13: განკარგვა / უტილიზაცია

13.1 ნარჩენების დამუშავების მეთოდები

თუ ნარჩენების ან / და ტარის უტილიზაცია/განთავსება შეუძლებელია პროდუქტის ეტიკეტის მითითებების შესაბამისად, მაშინ ამ მასალის განკარგვა უნდა მოხდეს ადგილობრივი ან რეგიონალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ დადგენილი წესებით. ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია ვრცელდება მხოლოდ პროდუქტზე, იმ სახით, რა სახითაც ხდება მისი მოწოდება. თვისებების ან ჩამონათვალის საფუძველზე იდენტიფიკაციის გამოყენება არ შეიძლება, თუ პრეპარატი გამოყენებულია, ან სხვა გზით არის დაბინძურებული. წარმოქმნილი მასალის ტოქსიკურობისა და ფიზიკური თვისებების შეფასება, ნარჩენების სწორად იდენტიფიკაციისა და უტილიზაციის მეთოდების მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობის განსაზღვრა, წარმოადგენს ნარჩენების წარმომქმნელის/ მომხმარებლის პასუხისმგებლობას. თუ მოწოდებული პროდუქტი უკვე იქცა ნარჩენად, დაიცავით ყველა მოქმედი რეგიონალური, ეროვნული და ადგილობრივი კანონი.

ამ პრეპარატის შესაბამის ვეროპის ნარჩენების კატალოგის (EWC) ჯგუფზე საბოლოო მიკუთვნება და აქედან გამომდინარე მისი სათანადო EWC კოდი, დამოკიდებულია მოცემული პრეპარატის გამოყენებაზე. დაუკავშირდით ნარჩენების უტილიზაციის უფლებამოსილ სამსახურებს.

პარაგრაფი 14: ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

კლასიფიკაცია საზოგადოებრივ ტრანსპორტისთვის (ADR / RID):

14.1 UN (გაერთიანებული ერები) ნომერი:	UN 3077
14.2 გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი:	ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება. მყარი, N.O.S. (მანკოცები)
14.3 საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას:	9
14.4 შეფუთვის ჯგუფი:	III
14.5 ეკოლოგიური საფრთხეები:	მანკოცები
14.6 უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის:	საფრთხის საიდენტიფიკაციო ნომერი: 90

კლასიფიკაცია საზღვაო ტრანსპორტისთვის (IMO-IMDG):

14.1 UN (გაერთიანებული ერები) ნომერი:	UN 3077
14.2 გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი:	ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება. მყარი, N.O.S. (მანკოცები)
14.3 საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას:	9
14.4 შეფუთვის ჯგუფი:	III
14.5 ეკოლოგიური საფრთხეები:	მანკოცები
14.6 უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის:	EmS: F-A, S-F
14.7 დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL 73/78 საერთაშორისო კონვენციის დანართის I ან II და IBC ან IGC კოდექსის შესაბამისად :	ნაყარი ტვირთების საოკეანო გადაზიდვამდე გაეცანით IMO რეგულაციებს.

კლასიფიკაცია საჰაერო ტრანსპორტისთვის (IATA/ICAO):

14.1 UN (გაერთიანებული ერები) ნომერი:	UN 3077
14.2 გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი:	ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება. მყარი, N.O.S. (მანკოცები)
14.3 საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას:	9
14.4 შეფუთვის ჯგუფი:	III
14.5 ეკოლოგიური საფრთხეები:	არ ექვემდებარება შევსებას
14.6 უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

ეს ინფორმაცია არ არის განკუთვნილი მოცემულ პროდუქტთან დაკავშირებული ყველა სპეციფიკური მარეგულირებელი ან საექსპლუატაციო წესების/ინფორმაციის მოსაწოდებლად. ტრანსპორტირების კლასიფიკაცია შეიძლება შეიცვალოს კონტეინერის მოცულობის მიხედვით და რეგიონალური ან ქვეყნის განსხვავებული რეგულაციების გავლენით. სატრანსპორტო სისტემის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია გაყიდვების ან მომხმარებელთა მომსახურების უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით. გადამზიდავ ორგანიზაციას ევალება პროდუქტის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედი კანონის, დებულებისა და წესის დაიცვა.

პარაგრაფი 15: მარეგულირებელი ინფორმაცია

15.1 ნივთიერებისა და ნარჩენებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/ კანონმდებლობა

ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს (EC) No. 1907/2006 REACH რეგულაცია

ეს პროდუქტი შეიცავს მხოლოდ იმ კომპონენტებს, რომლებიც წინასწარ იყო დარეგისტრირებული, დარეგისტრირდა, გათავისუფლდა რეგისტრაციიდან, ჩაითვალა რეგისტრირებულად ან არ ექვემდებარებოდა რეგისტრაციას (EC) 1907/2006 (REACH) რეგულაციის შესაბამისად. REACH რეგისტრაციის სტატუსის ზემოხსენებული მაჩვენებლები მოცემულია კეთილსინდისიერად და სარწმუნოა ზემოთ მითითებული ძალაში შესვლის თარიღიდან. თუმცა, არავითარი გარანტია, პირდაპირი ან ნაგულისხმევი არ არის მოცემული. მყიდველის/მომხმარებლის პასუხისმგებლობაა დარწმუნდეს, რომ მან სწორად გაიგო ამ პროდუქტის მარეგულირებელი სტატუსი.

სევესო III: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012/18/EU დირექტივა სახიფათო ნივთიერებებთან დაკავშირებული დიდი ავარიების მაღალი რისკების კონტროლის შესახებ.

მითითებულია რეგულაციაში: ეკოლოგიური საფრთხეები

ნომერი რეგულაციაში: E1

100 ტ

200 ტ

15.2 ქიმიური უსაფრთხოების შეფასება

ამ პროდუქტის სწორად და უსაფრთხოდ გამოყენებისთვის გაეცანით პროდუქტის ეტიკეტზე მითითებულ დადგენილ პირობებს.

პარაგრაფი 16: დამატებითი ინფორმაცია

მე-2 და მე-3 პარაგრაფში მითითებული H- ფრაზების სრული ტექსტი

H228	აალებადი მყარი ნივთიერება.
H317	შუქშია გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია.
H361d	საეჭვოა დაზიანდეს მუცლადმყოფი ბავშვი.
H400	ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.

კლასიფიკაცია და პროცედურა, რომელიც გამოიყენება ნარეგების კლასიფიკაციის დასადგენად (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად.

კანის სენს. - 1 - H317 - გაანგარიშების მეთოდი
რეპრ. - 2 - H361d - გაანგარიშების მეთოდი
წყლისათვის მწვავე - 1 - H400 - კვლევის მონაცემების საფუძველზე.

განახლება (რედაქტირება)

საიდენტიფიკაციო ნომერი: / A293 /გამოცემის თარიღი: 09.09.2019/ ვერსია: 1.0

DAS კოდი: GF-999

დოკუმენტში ყველა ბოლოდროინდელი შესწორება აღნიშნულია ორმაგი მუქი ვერტიკალური ხაზით მარცხენა ზოლში.

შემოკლებული აღნიშვნები

Dow IHG	„დაუ“-ს სამრეწველო ჰიგიენის სახელმძღვანელო მითითებები
TWA	8-სთ TWA
US WEEL	აშშ. სამუშაო ადგილზე გარემოს ზემოქმედების ზღვრები (WEEL)
წყლისათვის მწვავე	წყლის ორგანიზმების მიმართ მოკლევადიანი (მწვავე) საშიშროება
აალ. მყ.	აალებადი მყარი ნივთიერება
რეპრ.	რეპროდუქციული ტოქსიკურობა
კანის სენს.	კანის სენსიბილიზაცია

სხვა აბრევიატურების სრული ტექსტი

ADN - ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების შიდა საწყალოსნო გზებით გადაზიდვის შესახებ; **ADR** - ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ; **AICS** - ქიმიური ნივთიერებების ავსტრალიური რეესტრი. **ASTM** - მასალების (ნივთიერებების) ტესტირების ამერიკული საზოგადოება; bw - სხეულის წონა; **CLP** - კლასიფიკაციის, ეტიკეტირების, შეფუთვის რეგულაცია; (EC) No 1272/2008 რეგულაცია; **CMR**- კანცეროგენი, მუტაგენი ან რეპროდუქციული ტოქსიკური ნივთიერება; **DIN** - გერმანიის სტანდარტიზაციის ინსტიტუტის სტანდარტი; **DSL** - საყოფაცხოვრებო ნივთიერებების ჩამონათვალი (კანადა); **ECHA** - ევროპის ქიმიური პროდუქციის სააგენტო; **EC-Number** -

ევროპული საზოგადოების ნომერი; **ECx** – ეფექტური კონცენტრაცია, რომელიც დაკავშირებულია რეაქციის X%-თან; **ELx** – დატვირთვის სიდიდე, რომელიც დაკავშირებულია რეაქციის X%-თან; **EmS** – საგანგებო განრიგი. **ENCS** – არსებული და ახალი ქიმიური ნივთიერებები (იაპონია); **ErCx** – x% რეაქციასთან; **GHS** – (გაერთიანებული ერების) ქიმიური ნივთიერებების და ნარეგების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემა; **GLP** – კარგი ლაბორატორიული პრაქტიკა; **IARC** – კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტო; **IATA** – საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაცია; **IBC** – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კოდექსი დაუფასოებელი საშიში ქიმიური ტვირთების გადამზიდავი გემების მშენებლობისა და აღჭურვის შესახებ; **IC50** – საშუალო მაინჰიბირებელი კონცენტრაცია; **ICAO** – სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; **IECSC** – ჩინეთში არსებული ქიმიური ნივთიერებების რეესტრი; **IMDG** – საერთაშორისო საზღვაო სახიფათო ტვირთები; **IMO** – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია; **ISHL** – კანონი საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (იაპონია); **ISO** – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; **KECI** – კორეაში არსებული ქიმიური ნივთიერებების რეესტრი; **LC50** – სასიკვდილო კონცენტრაცია 50% საცდელი პოპულაციისათვის; **LD50** – სასიკვდილო დოზა 50% საცდელი პოპულაციისათვის (საშუალო სასიკვდილო დოზა); **MARPOL** – საერთაშორისო კონვენცია გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად; **n.o.s.** – სხვაგვარად მითითებული არ არის; **NO(A)EC** – დაუფიქსირებელი უარყოფითი (გვერდითი) ეფექტის კონცენტრაცია; **NO(A)EL** – დაუფიქსირებელი უარყოფითი ზემოქმედების დონე; **NOELR** – დატვირთვის ნორმა შესამჩნევი ეფექტის არარსებობის შემთხვევაში; **NZIoC** – ახალი ზელანდიაში არსებული ქიმიური ნივთიერებების რეესტრი; **OECD** – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია; **OPPTS** – პესტიციდებით და ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების პრევენციის ოფისი; **PBT** – მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური ნივთიერება; **PICCS** – ქიმიური ნივთიერებებისა და ქიმიური ნაერთების ფილიპინური რეესტრი; **(Q)SAR** – (რაოდენობრივი) სტრუქტურა-აქტივობის ურთიერთკავშირი; **REACH** – ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაცია (EC) 1907/2006 ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შეფასების, დაშვებისა და შეზღუდვის შესახებ. **RID** – სახიფათო ტვირთების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვასთან დაკავშირებული რეგულაციები; **SADT** – თვითდაჩქარებული დაშლის ტემპერატურა; **SDS** – უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი; **SVHC** – მაღალი რისკის შემცველი ნივთიერება; **TCSI** – ტაივანში არსებული ქიმიური ნივთიერებების რეესტრი; **TSCA** – ტოქსიკური ნივთიერებების კონტროლის აქტი (შეერთებული შტატები); **UN** – გაერთიანებული ერები; **vPvB** – ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი.

ინფორმაციის წყარო და ცნობები

აღნიშნული უსაფრთხოების ფურცელი მომზადებულია პროდუქტის მარეგულირებელი სამსახურებისა და რისკის კომუნიკაციების ჯგუფების მიერ, ჩვენი კომპანიის შიდა წყაროებით მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით.

„დაუ აგროსაიენსის ა.ს.“ მოუწოდებს თითოეულ მომხმარებელს ან ამ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მიმღებს, შეისწავლოს იგი ყურადღებით და მიმართონ სპეციალისტს, თუ ეს აუცილებელია ან მიზანშეწონილი, რათა გაითვალისწინონ და გააცნობიერონ ამ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში მოცემული მონაცემები და პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხეები. დოკუმენტში არსებული ინფორმაცია მოწოდებულია კეთილსინდისიერად და სარწმუნოდ ჩაითვლება ზემოთ მითითებული ძალაში შესვლის თარიღიდან. მიუხედავად ამისა, არავითარი გარანტია, პირდაპირი თუ ნაგულისხმევი, არ არის მოცემული. მარეგულირებელი მოთხოვნები შეიძლება შეიცვალოს და შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყნებთან მიმართებაში. მყიდველის/მომხმარებლის პასუხისმგებლობაა, დაწინაურდეს, რომ მისი ქმედებები შეესაბამება ყველა ფედერალურ, სახელმწიფო, რეგიონალურ თუ ადგილობრივ კანონებს. წარმოდგენილი ინფორმაცია ვრცელდება მხოლოდ პროდუქტზე, იმ სახით, რა სახითაც ხდება მისი მოწოდება. რადგან პროდუქტის გამოყენების პირობები არ არის მწარმოებლის კონტროლის ქვეშ, მყიდველი/მომხმარებელი ვალდებულია განსაზღვროს თუ რა პირობებია საჭირო პროდუქტის უსაფრთხო გამოყენებისთვის. ისეთი ინფორმაციის, როგორცაა მწარმოებლის-სპეციფიკური (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლები, წყაროების სიმრავლის გამო, ჩვენ არ ვართ და ვერ ვიქნებით პასუხისმგებელი იმ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლებზე, რომლებიც მოპოვებულია ნებისმიერი ჩვენგან განსხვავებული წყაროდან. თუ თქვენ მოიპოვეთ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი ნებისმიერი სხვა წყაროდან, ან თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ თქვენ მიერ მოპოვებული (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი არ არის უახლესი, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ყველაზე უახლესი ვერსიის მისაღებად.